

შპს „ენ ჯი თი გრუპ“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით
მომზადებული 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	2
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	4
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ენ ჯი თი გრუპ“-ის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ენ ჯი თი გრუპ“-ის (შემდგომში „კომპანია“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებულ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებასა და კონსოლიდირებულ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აბზაცში აღწერილი განმარტებისა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისათვის, რომელიც დასრულებულია მოცემული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს).

პირობითი მოსაზრების საფუძველი

მარაგები

ჩვენ ვერ დავესწარიტ მარაგების ინვენტარიზაციას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღი წინ უსწრებდა ჩვენი, როგორც აუდიტორებად დანიშვნის თარიღს. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერების თავისებურებებიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით მიგვეღო აუცილებელი და შესაფერისი მტკიცებულება მარაგების რაოდენობაზე, რაც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 6 124 053 ლარით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები მარაგებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ აბზაცში. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA) შესაბამისად და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ეთიკური მოთხოვნების გათვალისწინებით, ჩვენ ვართ კომპანიისაგან დამოუკიდებლები და ასევე ჩვენი ქმედებები შესაბამისობაშია IESBA კოდექსით განსაზღვრულ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისთვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. ჩვენი დასკვნა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს. ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენ მიერ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული მმართველობითი ანგარიშის გაცნობას და განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ მოიცავს არსებით უზუსტობებს.

ჩვენ არ გავცემთ არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობითი ანგარიშის შესახებ. მმართველობითი ანგარიშის გაცნობის შემდეგ და ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად, ჩვენ გამოვთქვამთ აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ მმართველობითი ანგარიში:

- არის შესაბამისობაში კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე ისეთი შიდა კონტროლის შექმნაზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიას უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ; გასცეს ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისი პრინციპი მანამ, სანამ კომპანიის

ხელმძღვანელობა არ გადაწყვეტს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოდ მოცემული ქმედებებისა.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, რომ მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ კონსოლიდირებული ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობები, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში გვევალება ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი მსჯელობები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო და კომპანია იძულებული გახდეს შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი

ირმა ხაჩიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-683479)


შპს „გროუ კონსალტინგი“ (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-423183)

2021 წლის 30 ოქტომბერი

საქართველო, თბილისი

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ კონსოლიდირებული ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობები, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში გვევალება ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი მსჯელობები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო და კომპანია იძულებული გახდეს შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, 
 ირმა ხაჩიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-683479)
 შპს „გროუ კონსალტინგი“ (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-423183)

2021 წლის 30 ოქტომბერი
 საქართველო, თბილისი

შპს „ენ ჯი თი გრუპ“
2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(ლარიში)

	შენიშვნა	2020	2019	2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	12 737 402	190 195	73 478
არამატერიალური აქტივები	5	179 204	5 100	4 796
საინვესტიციო ქონება		-	977 318	-
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	6	134 912	28 483	1 240 387
სულ გრძელვადიანი აქტივები		13 051 517	1 201 096	1 318 661
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	7	6 124 053	738 026	720 830
წინასწარ გაწეული ხარჯები		273 116	189 713	246 796
გაცემული სესხები	8	201 550	2 424 543	6 881
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	1 496 828	710 729	458 348
ფული და ფულის ექვივალენტები	10	839 615	1 991 494	2 613 290
სულ მიმდინარე აქტივები		8 935 161	6 054 506	4 046 145
სულ აქტივები		21 986 678	7 255 602	5 364 807
კაპიტალი და ვალდებულებები				
გაუნაწილებელი მოგება		5 971 740	6 535 878	4 264 307
არამაკონტროლებელი წილი		521 767	-	-
სულ კაპიტალი		6 493 507	6 535 878	4 264 307
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	11	10 124 865	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		10 124 865	-	-
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	3 827 362	719 724	1 100 499
მოკლევადიანი სესხები	11	1 540 943	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		5 368 306	719 724	1 100 499
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		21 986 678	7 255 602	5 364 807

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2021 წლის 30 ოქტომბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი
დავით ხოსიაშვილი -----

მთ. ბუღალტერი
მაკა მოცრაძე -----

1 | გ ვ ე რ დ ი

5-22 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „შპს ენ ჯი თი გრუპ“
2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019	2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	12 737 402	190 195	73 478
არამატერიალური აქტივები	5	179 204	5 100	4 796
საინვესტიციო ქონება		-	977 318	-
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	6	134 912	28 483	1 240 387
სულ გრძელვადიანი აქტივები		13 051 517	1 201 096	1 318 661
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	7	6 124 053	738 026	720 830
წინასწარ გაწეული ხარჯები		273 116	189 713	246 796
გაცემული სესხები	8	201 550	2 424 543	6 881
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	1 496 828	710 729	458 348
ფული და ფულის ექვივალენტები	10	839 615	1 991 494	2 613 290
სულ მიმდინარე აქტივები		8 935 161	6 054 506	4 046 145
სულ აქტივები		21 986 678	7 255 602	5 364 807
კაპიტალი და ვალდებულებები				
გაუნაწილებელი მოგება		5 971 740	6 535 878	4 264 307
არამაკონტროლებელი წილი		521 767	-	-
სულ კაპიტალი		6 493 507	6 535 878	4 264 307
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	11	10 124 865	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		10 124 865	-	-
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	3 827 362	719 724	1 100 499
მოკლევადიანი სესხები	11	1 540 943	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		5 368 306	719 724	1 100 499
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		21 986 678	7 255 602	5 364 807

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2021 წლის 30 ოქტომბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

დავით ხოსიაშვილი

მთ. ბუღალტერი

მაცა მოცრაძე

1 | გვ ე რ დ ი

5-22 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „ენ ჯი თი გრუპ“

2020 წლის კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

(ლარი)

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავლები	13	24 675 438	7 601 464
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(16 514 002)	(2 780 090)
საერთო მოგება		8 161 437	4 821 374
სხვა შემოსავლები		349 545	8 510
მარკეტინგის და რეკლამის ხარჯები		(138 169)	(17 259)
ადმინისტრაციული დანახარჯები	15	(5 151 759)	(2 544 015)
საპროცენტო ხარჯები	11	(972 988)	-
ფინანსური შემოსავალი		32 315	196 285
საკურსო სხვაობის მოგება/ზარალი	16	(1 489 797)	214 957
არასაოპერაციო ხარჯი/შემოსავალი წმინდა		33 638	-
მოგება დაბეგვრამდე		824 222	2 679 853
მოგების გადასახადის ხარჯი		(6 859)	(7 229)
წმინდა მოგება		817 362	2 672 623
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		817 362	2 672 623
სრული შემოსავალი მიკუთვნებული			
მფლობელსა და მშობელ კომპანიაზე		1 079 563	2 672 623
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(262 201)	-
სულ სრული შემოსავალი		817 362	2 672 623

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2021 წლის 30 ოქტომბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

დავით ხოსიაშვილი -----

მთ. ბუღალტერი

მაცა მოცრაძე -----

2 | გ ვ ე რ დ ი

5-22 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „შპს ენ ჯი თი გრუპ“

2020 წლის კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავლები	13	24 675 438	7 601 464
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(16 514 002)	(2 780 090)
საერთო მოგება		8 161 437	4 821 374
სხვა შემოსავლები		349 545	8 510
მარკეტინგის და რეკლამის ხარჯები		(138 169)	(17 259)
ადმინისტრაციული დანახარჯები	15	(5 151 759)	(2 544 015)
საპროცენტო ხარჯები	11	(972 988)	-
ფინანსური შემოსავალი		32 315	196 285
საკურსო სხვაობის მოგება/ზარალი	16	(1 489 797)	214 957
არასაოპერაციო ხარჯი/შემოსავალი წმინდა		33 638	-
მოგება დაბეგვრამდე		824 222	2 679 853
მოგების გადასახადის ხარჯი		(6 859)	(7 229)
წმინდა მოგება		817 362	2 672 623
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		817 362	2 672 623
სრული შემოსავალი მიკუთვნებული			
მფლობელსა და მშობელ კომპანიაზე		1 079 563	2 672 623
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(262 201)	-
სულ სრული შემოსავალი		817 362	2 672 623

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2021 წლის 30 ოქტომბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

დავით ხოსიაშვილი

მთ. ბუღალტერი

მაკა მოცრაძე

2 | გ ვ ე რ დ ი

5-22 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „ენ ჯი თი გრუპ“
2020 წლის კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

(ლარში)

	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი	29 176 121	8 280 517
შეძენილ პროდუქტებში გადახდილი თვითღირებულება	(12 374 237)	(5 149 806)
გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(2 493 211)	(1 121 318)
გადახდილი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(2 213 468)	(233 954)
დეპოზიტებზე განთავსებული საგარანტიო თანხების მოძრაობა	(106 428)	389 641
გადახდილი გადასახადები	(1 547 644)	(1 181 744)
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები	(64 485)	(34 708)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადამდამდე	10 376 647	948 628
გადახდილი საპროცენტო ხარჯი	(921 556)	-
გადახდილი მოგების გადასახადი	(7 161)	(6 793)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	9 447 930	941 835
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(7 679 293)	-
გაცემული სესხები	(729 551)	(1 401 412)
შვილობილი კომპანიის წილის შეძენა	(1 224 189)	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	20 367	47 213
მიღებული საპროცენტო შემოსავალი	15 628	175 351
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(9 597 037)	(1 178 848)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		
აღებული სესხები	11 687 819	-
ნასესხები სახსრების დაფარვა	(12 600 096)	-
აქციონერებზე გადახდილი დივიდენდები	-	(381 000)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	(912 277)	(381 000)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე	(171 856)	(3 783)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)	(1 233 240)	(621 795)
შვილობილი კომპანიის ფულადი სახსრები შეძენის მომენტში	81 361	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	1 991 494	2 613 290
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს	839 615	1 991 494

*აქციონერებზე გაცემული დივიდენდი ფულადი სახსრების ანგარიშგებაში მოცემულია საშემოსავლო გადასახადის გარეშე, ხოლო კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებაში დივიდენდის თანხა მოიცავს გადასახადებს;

**ფულადი სახსრების ანგარიშგებაში ასახული არ არის საინვესტიციო ქონების გასვლა, რადგან აღნიშნული ქონების გასვლით მოხდა არაფულადი მუხლის ცვლილება;

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2021 წლის 30 ოქტომბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი
დავით ხოსიაშვილი -----

მთ. ბუღალტერი
მაკა მოცრაძე -----

შპს „ენ ჯი თი გრუპ“
2020 წლის კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

(ლარიში)

	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი	29 176 121	8 280 517
შეძენილ პროდუქტებში გადახდილი თვითღირებულება	(12 374 237)	(5 149 806)
გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(2 493 211)	(1 121 318)
გადახდილი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(2 213 468)	(233 954)
დეპოზიტებზე განთავსებული საგარანტიო თანხების მოძრაობა	(106 428)	389 641
გადახდილი გადასახადები	(1 547 644)	(1 181 744)
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები	(64 485)	(34 708)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე	10 376 647	948 628
გადახდილი საპროცენტო ხარჯი	(921 556)	-
გადახდილი მოგების გადასახადი	(7 161)	(6 793)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	9 447 930	941 835
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(7 679 293)	-
გაცემული სესხები	(729 551)	(1 401 412)
შვილობილი კომპანიის წილის შეძენა	(1 224 189)	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	20 367	47 213
მიღებული საპროცენტო შემოსავალი	15 628	175 351
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(9 597 037)	(1 178 848)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		
აღებული სესხები	11 687 819	-
ნასესხები სახსრების დაფარვა	(12 600 096)	-
აქციონერებზე გადახდილი დივიდენდები	-	(381 000)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	(912 277)	(381 000)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე	(171 856)	(3 783)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)	(1 233 240)	(621 795)
შვილობილი კომპანიის ფულადი სახსრები შეძენის მომენტში	81 361	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	1 991 494	2 613 290
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს	839 615	1 991 494

*აქციონერებზე გაცემული დივიდენდი ფულადი სახსრების ანგარიშგებაში მოცემულია სამემოსავლო გადასახადის გარეშე, ხოლო კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებაში დივიდენდის თანხა მოიცავს გადასახადებს;

**ფულადი სახსრების ანგარიშგებაში ასახული არ არის საინვესტიციო ქონების გასვლა, რადგან აღნიშნული ქონების გასვლით მოხდა არაფულადი მუხლის ცვლილება;

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2021 წლის 30 ოქტომბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

დავით ხოსიაშვილი

მთ. ბუღალტერი
მაკა მოცრაძე

3 | გ ვ ე რ დ ი

5-22 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „ენ ჯი თი გრუპ“
2020 წლის კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ სათაო კომპანიის მფლობელებს	არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს	სულ
2019 წლის 1 იანვარი	-	4 264 307	4 264 307	-	4 264 307
დივიდენდის განაწილება	-	(401 053)	(401 053)	-	(401 053)
სრული შემოსავალი		2 672 623	2 672 623		2 672 623
2019 წლის 31 დეკემბერი	-	6 535 878	6 535 878	-	6 535 878
შვილობილი კომპანიის კაპიტალი					
შეძენის მომენტში	-	-	-	1 247 576	1 247 576
შვილობილი კომპანიის დაგროვილი					
ზარალი შეძენის მომენტში	-	(1 643 701)	(1 643 701)	(463 608)	(2 107 309)
სრული შემოსავალი	-	1 079 563	1 079 563	(262 201)	817 362
2020 წლის 31 დეკემბერი	-	5 971 740	5 971 740	521 767	6 493 507

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2021 წლის 30 ოქტომბერს
შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი
დავით ხოსიაშვილი -----

მთ. ბუღალტერი
მაკა მოცრაძე -----

შპს „ენ ჯი თი გრუპ“
2020 წლის კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ სათაო კომპანიის მფლობელებს	არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს	სულ
2019 წლის 1 იანვარი	-	4 264 307	4 264 307	-	4 264 307
დივიდენდის განაწილება	-	(401 053)	(401 053)	-	(401 053)
სრული შემოსავალი		2 672 623	2 672 623		2 672 623
2019 წლის 31 დეკემბერი	-	6 535 878	6 535 878	-	6 535 878
შვილობილი კომპანიის კაპიტალი შეძენის მომენტში	-	-	-	1 247 576	1 247 576
შვილობილი კომპანიის დაგროვილი ზარალი შეძენის მომენტში	-	(1 643 701)	(1 643 701)	(463 608)	(2 107 309)
სრული შემოსავალი	-	1 079 563	1 079 563	(262 201)	817 362
2020 წლის 31 დეკემბერი	-	5 971 740	5 971 740	521 767	6 493 507

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2021 წლის 30 ოქტომბერს
შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

დავით ხოსიაშვილი

მთ. ბუღალტერი

მაკა მოცრაძე

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ენ ჯი თი გრუპ“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია საქართველოში 2011 წლის 16 დეკემბერს. იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი არის - საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, შარტავას ქ. №40. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 404922447.

კომპანიის მიმდინარე საქმიანობას მართავს კომპანიის დირექტორები - დავით ხოსიაშვილი და მამია მოცრაძე.

კომპანია ძირითად საქმიანობას წაკადების მართვის სისტემების რეალიზაცია წარმოადგენს.

2020, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორებს წარმოადგენდნენ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
დავით ხოსიაშვილი (01020004893) - 33.34%	დავით ხოსიაშვილი (01020004893) - 33.34%	დავით ხოსიაშვილი (01020004893) - 33.34%
დავით სამხარაძე (01011030530) - 33.33 %	დავით სამხარაძე (01011030530) - 33.33 %	დავით სამხარაძე (01011030530) - 33.33 %
მამია მოცრაძე (54001014452) - 33.33 %	მამია მოცრაძე (54001014452) - 33.33 %	მამია მოცრაძე (54001014452) - 33.33 %

ჯგუფის შვილობილი კომპანიაა, შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“ (ს/კ 405076359), რომელშიც წილის მოცულობა 78% შეადგენს.

2021 წლის მარტის თვეში კომპანიამ გაყიდა მაკონტროლირებელი წილი შვილობილ კომპანიაში, სადაც 78% წილის მფლობელი გახდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ენ ჯი თი ჯგუფი“ (ს/კ 204524274).

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. საქართველოს გააჩნია შედარებით სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია და ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა დაბალი გადასახადებით და რეგულაციებით.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული

გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის ყველა საჭირო ზომებს იღებს, რათა მხარი დაუჭიროს კომპანიის საქმიანობის მდგრადობასა და განვითარებას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

შესაბამისობა

კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების “მსს ფასს-ზე გადასვლა”- ფარგლებში). კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- მას წინა პერიოდებში არ წარუდგენია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და მსს ფასს-ის პირველადი გამოყენების თარიღი არის 2020 წლის 01 იანვარი.
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

ამასთან, კომპანია წარმოადგენს მეორე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, კომპანიას მოეთხოვება წლიური ფინანსური ანგარიშგების სავალდებულო აუდიტი.

უწყვეტი ფუნქციონირება

2019 წლის ბოლოს მსოფლიოში გავრცელდა ინფორმაცია COVID19-ის (კორონავირუსის) შესახებ. 2020 წლის პირველ ნახევარში ვირუსი გლობალურად გავრცელდა და მისმა უარყოფითმა გავლენამ თითქმის ყველა ქვეყანა მოიცვა. მათ შორის საქართველოში რამდენიმე თვით დაიკეტა ყველა რესტორანი და კაფე-ბარი, თუმცა მუშაობას აგრძელებდნენ კვების საწარმოები და სხვა სტრატეგიული ობიექტები. ხელმძღვანელობა პანდემიას ბალანსის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენად მიიჩნევს, რადგან წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დროს მას არ მოუხდენია შესამჩნევი გავლენა კომპანიის გაყიდვებსა და მიწოდების პროცესზე, თუმცა, სამომავლო შედეგების პროგნოზირება შეუძლებელია. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის უწყვეტი ფუნქციონირების დაშვება არის შესაფერისი და იგი გააგრძელებს პოტენციური გავლენების მონიტორინგს და გადადგამს ყველა შესაძლებელ ნაბიჯს უარყოფითი გავლენების თავიდან ასაცილებლად.

შესაბამისად, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის მომზადებულია საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების საფუძველზე.

სამუშაო და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (შემდეგში "GEL"). წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, წარმოქმნილი წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაფასებიდან, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალის „საკურსო სხვაობის მოგება/ზარალი“-ს მუხლში“. წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომლებიც პირვანდელი ღირებულებითაა შეფასებული.

უცხოური ვალუტის კონვერტაციისთვის გამოყენებული ძირითადი გაცვლითი კურსი ქართულ ლართან მიმართებით იყო შემდეგი:

გაცვლითი კურსი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
1 აშშ დოლარი	3.2766	2.8677	2.6766
1 ევრო	4.0233	3.2095	3.0701

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელთაც აკლდება დაგროვილი ცვეთის თანხა და საჭიროებისამებრ გაუფასურების ანარცხები. მიწა ფასდება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ზარალით.

თვითღირებულება მოიცავს იმ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის შეძენას. საწარმოს მიერ შექმნილი აქტივების თვითღირებულება ასევე მოიცავს მასალების და პირდაპირი შრომის ღირებულებას, ყველა სხვა ხარჯს, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას მათი წინასწარგანზრახული გამოყენებისთვის, საგნების დემონტაჟისა და მათი ლოკაციის ადგილიდან გატანის ხარჯებს და კაპიტალიზებად სესხით სარგებლობის ხარჯებს.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივის სახით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოსვლა და დანახარჯების სანდოდ და საიმედოდ შეფასება. მიმდინარე რემონტისა და ყოველდღიური

საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

ცვეთა

მიწას ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
შენობა-ნაგებობები	20 წელი
მანქანა-დანადგარები	10 წელი
ინვენტარი	5 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	4 წელი
ავტოტრანსპორტი	5 წელი
არამატერიალური აქტივები	5 წელი

ძირითადი საშუალება იცვითება იმ თვიდან, როდესაც ხდება მისი ექსპლუატაციაში გაშვება.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტების საკონტრაქტო პირობების მხარე.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით. ამ დროს მათ სამართლიან ღირებულებას ემატება ან აკლდება ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესყიდვას ან გამოშვებას. მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შესყიდვასთან პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ხარჯები დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების ბუნებასა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება მათი თავდაპირველი აღიარებისას.

კომპანიის ფინანსურ აქტივებს ძირითადად შეადგენს ფული და ფულის ექვივალენტები და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც მოთხოვნები ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივები, გარდა მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულისა, გაუფასურებაზე მოწმდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ ზარალის დადგომის შემთხვევას ან შემთხვევებს გავლენა აქვს ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია.

ფინანსური აქტივისათვის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება გულისხმობდეს შემდეგს:

- კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე; ან
- კონტრაქტის დარღვევა, როგორიცაა დეფოლტი ან გადახდისუუნარობა საპროცენტო ან ძირითად თანხებთან მიმართებაში; ან
- სავარაუდოა, რომ მსესხებელმა გამოაცხადოს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის შესაძლებლობა; ან
- აღნიშნული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაქრობა ფინანსური სირთულეების გამო.

ფინანსური აქტივების ზოგიერთი კატეგორიის შემთხვევაში, როგორიცაა სავაჭრო მოთხოვნები, აქტივები გაუფასურებაზე მოწმდება ჯგუფურად მაშინაც კი, თუ ინდივიდუალურად შეფასებისას დადგინდა, რომ გაუფასურებული არ არის. მოთხოვნების პორტფელის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება იყოს კომპანიის წარსული გამოცდილება გადახდების აკრეფასთან დაკავშირებით, ან ქვეყნის ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების მკვეთრი გაუარესება.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ გაუფასურების ხარჯი შემდგომ პერიოდში შემცირდა და ეს კლება ობიექტურად შეიძლება უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდება ადრე აღრიცხული გაუფასურების ხარჯის გაუქმება მოგება-ზარალში ისე, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება გაუფასურების ხარჯის გაუქმების შემდეგ არ აჭარბებდეს ამორტიზებულ ღირებულებას გაუფასურების აღიარების გარეშე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების საკონტრაქტო პირობების ვადის გასვლისას ან ამ ფინანსური აქტივისა და მის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის სხვა მხარეზე გადაცემისას. თუ კომპანიამ მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც სხვა მხარეს გადასცა და არც შეინარჩუნა და კვლავაც აკონტროლებს გადაცემულ აქტივს, კომპანია აღიარებს მასში შენარჩუნებულ წილს და მასთან დაკავშირებულ, თანხების გადახდის პოტენციურ ვალდებულებას. თუ კომპანიამ შეინარჩუნა ფინანსური აქტივის მფლობელობის

არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ის განაგრძობს ფინანსური აქტივის აღიარებას და აგრეთვე აღიარებს აღებული უზრუნველყოფილი სესხებიდან მიღებულ შემოსავალს.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მოგებაში ან ზარალში ამორტიზებული ღირებულებებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებს და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები იფარება, უქმდება ან ვადა გასდის. სხვაობა აღიარებული და შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და თანხას მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაუფასურების გამოკლებით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება ეფუძნება ხელმძღვანელობის შეფასებას ინდივიდუალური კლიენტისგან მოთხოვნის ამოღების ალბათობასთან. კლიენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები, გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ალბათობა, ან გადახდისუუნარობა იმის მაჩვენებლებია, რომ მოთხოვნა პოტენციურად გაუფასურებულია.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა. დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას.

ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის (ოფშორი) მქონე იურისდიქციებში, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები იბეგრება გადახდის წყაროსთან.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) ავანსის მიღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. გადასახდელი დღგ მცირდება ჩასათვლელი დღგ-ის თანხით, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე.

საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა

საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა მნიშვნელოვნად ინტერპრეტაციებზეა დამოკიდებული და შეიძლება ექვეყნებში დადგეს საგადასახადო ორგანოების მხრიდან გეგმიური თუ კამერალური შემოწმების დროს. საგადასახადო შემოწმებას შეიძლება დაექვემდებაროს საგადასახადო შემოწმების წლამდე წინა სამი კალენდარული წლის პერიოდები. კომპანია დარწმუნებულია, რომ მას შესრულებული აქვს ყველა საგადასახადო ვალდებულება საგადასახადო კანონმდებლობის მისეული გაგების საფუძველზე.

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. მზა პროდუქციის და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს და მასალებს, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებსა და დაკავშირებულ საწარმოო ზედნადებ ხარჯებს. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება როგორც ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობიდან დადგენილი გასაყიდი ფასით, შემცირებული რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდების მიხედვით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (რომლებიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, მფლობელობას და ა.შ) ხორციელდება მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობით კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები შეზღუდულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული გაუნაწილებელი მოგების ნაშთით. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის რეალიზებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მყიდველისათვის კონტროლის გადაცემის შედეგად.

ანარიცხები

ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება, და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება ვალდებულების ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

საქონლის რეალიზაცია

რეალიზაცია აღიარებულია მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებულია კლიენტისთვის, კლიენტს სრული დისკრეციული უფლება აქვს საქონელზე, და არ არსებობს შეუსრულებელი ვალდებულებები, რომლებიც გავლენას იქონიებს კლიენტის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი გადაზიდულია კლიენტთან და მან მიიღო საქონელი ან კომპანიას აქვს დასაბუთებული მტკიცებულება იმისა, რომ მიღების ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილდა.

თანამშრომელთა ანაზღაურება

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა შესაბამისი მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

3.1 შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს.

შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და შემდგომ პერიოდებში, როდესაც ასეთ ცვლილებებს ექნებათ გავლენა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე მსჯელობებს. მსჯელობებს, რომელსაც შეუძლია გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, არის:

- **დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება**

ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს მასთან დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებების საფუძველზე. მსჯელობა გამოიყენება იმისათვის, რომ განისაზღვროს ოპერაციების ფასები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით განისაზღვრება თუ არა. მსჯელობა ემყარება დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი ოპერაციების ფასებსა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებების საფუძველზე. განსჯა გამოიყენება იმის განსასაზღვრად, არის თუ არა პირობები საბაზრო საპროცენტო განაკვეთით. განსჯის საფუძველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზია, რაც კომპანიის მიერ გამოვლინდა საქართველოში მსგავსი ტიპის სესხების საბაზრო პირობების საფუძველზე.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა**

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მსჯელობის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივების სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სარგებლიან მომსახურების ვადას აქტივის მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის და შეფასების იმ პერიოდის მიხედვით, რომელშიც აქტივისგან კომპანიისთვის სარგებლის მოტანა არის მოსალოდნელი.

3.2 ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული

2020 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები (შესაძლებელია მათი ადრეული გამოყენება) რომლებიც კომპანიას ჯერ არ ჰქონდა მიღებული წინამდებარე ანგარიშგების მომზადებისას.

კომპანიის ხელმძღვანელობის აზრით ქვემოთ მოცემული კორექტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირა (ფასს 16-ის კორექტირება)
- არსებითობის განმარტება (ბასს-1 და ბასს-8 კორექტირებები)
- სადაზღვევო ხელშეკრულებები (ფასს 17)
- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორებები - ბიზნესის განმარტება)

შპს „ენ ჯი თი გრუპ“
2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	კომპიუტერული ტექნიკა და ინვენტარი	სატრან- სპორტო საშუალება	მანქანა- დანადგარები	სპეცია- ლური ინსტრუ- მენტები	სხვა ძირითადი საშუალებები	სათადარიგო ნაწილები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
2018 წლის 31 დეკემბერი	-	-	99 208	-	-	-	-	-	-	99 208
შემოსვლა 2019	-	-	20 306	178 789	-	-	-	-	-	199 094
გასული ღირებულება 2019	-	-	(2 330)	(46 886)	-	-	-	-	-	(49 216)
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	117 183	131 903	-	-	-	-	-	249 086
შეძენილი კომპანიის საწყისი ნაშთები 1 თებერვალი	615 124	2 357 958	133 560	233 431	6 516 817	54 423	384 204	3 173 293	193 11	13 661 926
შემოსვლა 2020	-	131 882	62 732	132 466	776 551	35 253	16 153	1 510 668	118 273	2 783 978
გასული ღირებულება 2020	-	-	(9 329)	(23 675)	-	(7 200)	(496)	(1 743 703)	(252 264)	(2 036 667)
2020 წლის 31 დეკემბერი	615 124	2 489 840	304 146	474 125	7 293 367	82 476	399 861	2 940 258	59 125	14 658 323
დაგროვილი ცვეთა										
2018 წლის 31 დეკემბერი	-	-	(25 729)	-	-	-	-	-	-	(25 729)
წლის ცვეთის ხარჯი	-	-	(16 501)	(20 520)	-	-	-	-	-	(37 021)
გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა	-	-	418	3 441	-	-	-	-	-	3 860
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	(41 812)	(17 079)	-	-	-	-	-	(58 891)
შეძენილი კომპანიის საწყისი ნაშთები 1 თებერვალი	-	(146 140)	(43 796)	(37 172)	(898 937)	(16 018)	(101 602)	-	-	(1 243 665)
წლის ცვეთის ხარჯი	-	(44 013)	(46 656)	(50 271)	(450 629)	(8 411)	(27 811)	-	-	(627 792)
გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა	-	-	3 151	5 054	-	1 157	66	-	-	9 427
2020 წლის 31 დეკემბერი	-	(190 153)	(129 113)	(99 468)	(1 349 566)	(23 272)	(129 348)	-	-	(1 920 921)
ნეტო საბალანსო ღირებულება										
2018 წლის 31 დეკემბერი	-	-	73 478	-	-	-	-	-	-	73 478
2019 წლის 31 დეკემბერი	615 124	2 211 818	89 764	196 259	5 617 880	38 405	282 601	3 173 293	193 116	190 195
2020 წლის 31 დეკემბერი	615 124	2 299 687	103 090	281 658	5 941 336	59 204	270 513	2 940 258	59 125	12 737 402

ჯგუფში შემავალი შპს ენ ერ ჯი ჯორჯია-ს ყველა ძირითადი საშუალებები საბალანსო ღირებულებით 12 569 995 ლარი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის გამოყენებულია სესხების უზრუნველყოფისთვის

5. არამატერიალური აქტივები

თვითღირებულება	ლიცენზიები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
2018 წლის 31 დეკემბერი	5 996	-	5 996
შეძენა	-	1 691	1 691
2019 წლის 31 დეკემბერი	5 996	1 691	7 687
შეძენილი კომპანიის საწყისი ნაშთები 1 თებერვალი	-	51 602	51 602
შეძენა	-	196 310	196 310
2020 წლის 31 დეკემბერი	5 996	249 603	255 599
დაგროვილი ცვეთა			
2018 წლის 31 დეკემბერი	(1 199)	-	(1 199)
წლის ცვეთის ხარჯი	(1 199)	(189)	(1 388)
2019 წლის 31 დეკემბერი	(2 398)	(189)	(2 587)
შეძენილი კომპანიის საწყისი ნაშთები 1 თებერვალი	-	(32 299)	(32 299)
წლის ცვეთის ხარჯი	(1 199)	(40 310)	(41 509)
2020 წლის 31 დეკემბერი	(3 597)	(72 798)	(76 395)
ნეტო საბალანსო ღირებულება			
2018 წლის 31 დეკემბერი	4 796	-	4 796
2019 წლის 31 დეკემბერი	3 597	1 503	5 100
2020 წლის 31 დეკემბერი	2 398	176 806	179 204

6. სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები

	2020	2019	2018
საგარანტიო თანხები	134 912	28 483	405 067
გრძელვადიანი გაცემული სესხები	-	-	835 320
სულ	134 912	28 483	1 240 387

გრძელვადიანი სესხები	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	2020	2019	2018
შპს "ენ ერ ჯი ჯორჯია"	ლარი	12%			835 320
სულ ჯამი			-	-	835 320

7. მარაგები

	2020	2019	2018
საქონელი	982 430	737 417	720 399
მზა პროდუქცია	3 428 886	-	-
ნედლეული	1 692 966	-	-
სხვა საქონელი	19 772	609	431
სულ მარაგები	6 124 053	738 026	720 830

8. გაცემული სესხები

მოკლევადიანი სესხები	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	2020	2019	2018
შპს "ენ ერ ჯი ჯორჯია"	აშშ დოლარი	7%	-	2 424 544	6 881
შპს "სინერჯი კაპიტალი"	აშშ დოლარი	7%	201 550	-	-
სულ ჯამი			201 550	2 424 544	6 881

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020	2019	2018
მომსახურებიდან და მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	1 430 762	593 212	424 226
მომსახურებიდან და მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნების რეზერვი	(196 636)	-	-
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	561 027	13 668	11 378
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების რეზერვი	(298 326)	-	-
წინასწარ გადახდილი გადასახადები	-	103 849	22 744
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 496 828	710 729	458 348

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის ანარიცხი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	გაუფასურების განაკვეთი	გაუფასურება 31.12.2020
მიმდინარე			
- 30 დღეზე ნაკლებით ვადაგადაცილებული	1 196 956	0%	-
- 30 - 90 დღით ვადაგადაცილებული	293 943	0%	-
- 91 - 180 დღით ვადაგადაცილებული	-	10%	-
- 181 - 360 დღით ვადაგადაცილებული	11 857	50%	5 928
- 360-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	489 033	100%	489 033
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 991 789		494 962
გაუფასურების რეზერვი	(494 962)		
წმინდა მოთხოვნები	1 496 828		

10. ფული და ფულის ექვივალენტები

	2020	2019	2018
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	526 053	1 565 305	2 260 043
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	308 920	423 245	348 397
ნადდი ფული ეროვნულ ვალუტაში	4 642	2 945	4 849
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	839 615	1 991 494	2 613 290

11. მიღებული სესხები

მიღებული სესხები	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადა	2020
სს "ბაზის ბანკი"	აშშ დოლარი	7%	27/05/2020	5 339
შპს "ენ ჯი თი გრუპი"	ევრო	7%	უვადო	294 319
სს "ბაზის ბანკი"	ლარი	3.7%+რეფინანსირების განაკვეთი	16/10/2028	4 066 537
სს "ბაზის ბანკი"	ლარი	3.7%+რეფინანსირების განაკვეთი	18/06/2029	886 376
სს "ბაზის ბანკი"	ლარი	3.7%+რეფინანსირების განაკვეთი	18/09/2028	6 413 237
სულ ჯამი				11 665 808

სესხების ვადიანობა:	2 020
მოკლევადიანი სესხი	1 540 943
გრძელვადიანი სესხები	10 124 865
სულ ნასესხები სახსრები	11 665 808

*საბანკო სესხები არის 1-დან 9 წლამდე ვადიანობის, მცოცავი საპროცენტო განაკვეთით 3.7% -ს დამატებული ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთი, სესხებს უზრუნველსაყოფად გამოყენებულია შპს ენ ჯი გორჯიას მთელი არსებული ქონება (იხ. შენიშვნა N4); ასევე ჯგუფს აქვს დაკავშირებული მხარისგან აღებული უვადო სესხი ვალუტაში, აღნიშნული სესხის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 7 %-ს.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2020	2019	2018
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	847 271	398 532	396 844
მიღებული ავანსები	665 911	236 917	684 496
საგადასახადო ვალდებულება	337 546	-	-
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	6 635	84 275	19 159
სხვა ვალდებულებები	1 970 000	-	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3 827 362	719 724	1 100 499

*სხვა ვალდებულებები მოიცავს შვილობილი კომპანიის შეძენის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას, რომელიც სრულად გადახდილია 2021 წელს;

13. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2020	2019
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	21 148 897	4 549 475
შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან	3 526 541	3 051 989
სულ შემოსავლები	24 675 438	7 601 464

14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2020	2019
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	1 863 488	2 780 090
ნედლეულის პირდაპირი ხარჯი	13 425 353	-
შრომის ანაზღაურება	509 948	-
ცვეთა და ამორტიზაცია	529 230	-
სხვა ზედნადები ხარჯები	185 983	-
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16 514 002	2 780 090

15. საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	2 597 178	1 539 170
„სოფთეუარ მენიუნენანსის“ ხარჯი	799 687	620 857
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	431 974	-
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურება	424 075	38 618
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	405 371	69 517
ცვეთა და ამორტიზაცია	137 985	43 703
იჯარის ხარჯი	128 253	62 415
მიწოდების სხვა ხარჯები	53 569	64 063
შესყიდული სერვისის ღირებულება	43 022	4 027
საგარანტიო მომსახურების ხარჯი	33 079	36 312
სხვა საგადასახადო ხარჯი	31 365	39 845
საწვავი	27 888	13 511
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	19 847	4 578
სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	18 466	7 398
სულ საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	5 151 759	2 544 015

16. საკურსო სხვაობის მოგება/ზარალი

	2020	2019
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი	(1 489 797)	214 957
სულ საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი	(1 489 797)	214 957

2020 წელს წარმოქმნილი საკურსო სხვაობა მოიცავს 2020 წელს შპს ენ ჯი ჯორჯიას მიერ უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული სასესხო ვალდებულების დაფარვის შედეგად წარმოქმნილ საკურსო ზარალს;

17. ფინანსური ინსტრუმენტები

(ლარი)	სესხები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	1 100 499		
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	719 724		
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	11 665 808	3 827 362		

(ლარი)	ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	გაცემული სესხები	საგარანტიო თანხები
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	2 613 290	458 348	842 201	405 067
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	1 991 494	710 729	2 424 543	28 483
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	839 615	1 496 828	201 550	134 912

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს კომპანიის მფლობელებს და ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ პირებს, აგრეთვე უმაღლეს ხელმძღვანელობას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ ისეთ გარიგებებში შესვლა, რომლებსაც არადაკავშირებული პირები ვერ განახორციელებენ.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეპყრობა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ, იურიდიულ ფორმას. დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიას გააჩნია შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

	2020	2019	2018
	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
გაცემული სესხები	1 982 343	2 394 530	835 320
მიღებული სესხები	281 631	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	139 078	30 014	20 103
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 982 662	300	259 600
სულ ჯამი	4 385 714	2 424 843	1 115 023

	2020	2019	2018
სრული შემოსავლების ანგარიშგება			
შემოსავლები რეალიზაციიდან	1 011 271	46 817	157 953
საპროცენტო შემოსავალი	2 513	175 060	-
ნედლეულის, სხვა მასალებისა და მომსახურების შესყიდვა	85 859	36 661	249 242
საპროცენტო ხარჯები	35 479	-	-

ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია

ხელმძღვანელი პირების ხელფასები, ბონუსები და სხვა არაფულადი სარგებელი შესულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და 2020 წლის განმავლობაში შეადგენს 752 855 ლარს, ხოლო 2019 წელს 613 053 ლარს.

19. სასამართლო დავები

კომპანიასთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში არ ყოფილა არცერთი მიმდინარე დავა სასამართლოში. რაც შეეხება მოსალოდნელ სასამართლო დავებს, მსგავსი სამართლებრივი რისკის მატარებელი საკითხი ხელმძღვანელობის აზრით არ იკვეთება.

20. საკრედიტო რისკი

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად იწვევს ამ რისკს, ძირითადად შედგება სავაჭრო მოთხოვნებისა და ფულისა და ფულის ექვივალენტებისგან. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის პროდუქციის საკრედიტო პირობებით გაყიდვების და სხვა კონტრაგენტებთან ტრანზაქციების შედეგად. ხელმძღვანელობის აზრით, კომპანიას ზარალის დიდი რისკი, გარდა უკვე აღრიცხული რეზერვებისა, არ ემუქრება.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემდეგნაირად:

	2020	2019	2018
სავაჭრო მოთხოვნები	1 430 762	593 212	424 226
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	561 027	13 668	11 378
საექვო ვალების ანარიცხები	(494 962)	0	0
ფული საბანკო ანგარიშებზე	839 615	1 991 494	2 613 290
სულ საკრედიტო რისკი	2 336 443	2 598 374	3 048 894

საანგარიშო პერიოდების ბოლოს მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე ანგარიშები განთავსებული იყო ექვს რეზიდენტ ბანკში.

21. სავალუტო რისკი

სავალუტო რისკთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს ვალუტის მიხედვით და მთლიანობაში. მისი მონიტორინგი ყოველთვიურად ხორციელდება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	2020			2019		
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა სავალუტო პოზიცია	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა სავალუტო პოზიცია
აშშ დოლარი	357 133	387 423	(30 290)	2 424 544	272 168	2 152 376
ევრო		676 594	(676 594)		123 913	(123 913)
ჯამი	357 133	1 064 017	(706 884)	2 424 544	396 081	2 028 463

	2018		
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა სავალუტო პოზიცია
აშშ დოლარი	6 881	113 407	(106 526)
ევრო		17 882	(17 882)
ჯამი	6 881	131 289	(124 408)

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებს და ვალდებულებებს. კაპიტალში ინვესტირება და არაფულადი აქტივები არ გაითვალისწინება სავალუტო რისკების შეფასებისას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია კაპიტალის მგრძნობელობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლებელი ცვლილებებისადმი კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები რჩება უცვლელი:

	2020	2019	2018
ვალუტის გამყარება 10%-ით	70 688	(202 846)	12 441
ვალუტის გაუფასურება 10%-ით	(70 688)	202 846	(12 441)

ეს რისკი გამოთვლილი იქნა მხოლოდ იმ ვალუტებში დენომინირებული ფულადი ნაშთებისთვის, რომლებიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისგან.

22. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს ვადადამდგარ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად საკმარისი თანხების არსებობას. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი შედგება ფულადი სახსრებისა და მათი

ეკვივალენტებისგან. ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქტივებსა და ვალდებულებებს. როდესაც გადასახდელი თანხის ოდენობა არ არის ფიქსირებული, გამჟღავნებული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაანგარიშდება გაცვლითი კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

	2020			2019		
	მოკლევადიანი აქტივები	მოკლევადიანი ვალდებულებები	საღდო	მოკლევადიანი აქტივები	მოკლევადიანი ვალდებულებები	საღდო
ლარში ნომინირებული	8 935 161	-5 368 306	3 566 855	6 054 506	-719 724	5 334 783
ჯამი	8 935 161	-5 368 306	3 566 855	6 054 506	-719 724	5 334 783

	2018		
	მოკლევადიანი აქტივები	მოკლევადიანი ვალდებულებები	საღდო
ლარში ნომინირებული	4 046 145	-1 100 499	2 945 646
ჯამი	4 046 145	-1 100 499	2 945 646

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2021 წლის თებერვალში დამფუძნებლებზე გაიცა დივიდენდი 56 842 ლარის ოდენობით.

2021 წლის მარტის თვეში მოხდა კომპანიის დამფუძნებლის ცვლილება, კერძოდ 100% წილის მფლობელი გახდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ენ ჯი თი გრუპი (204524274).

2021 წლის მარტის თვეში კომპანიამ გაყიდა მაკონტროლირებული წილი შვილობილ კომპანიაში, სადაც 78% წილის მფლობელი გახდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ენ ჯი თი გრუპი (204524274).

შპს ენ ჯი თი გრუპ

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

და

2020 წლის საქმიანობის მიმოხილვა

თან ერთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის

მოსაზრება



Grow Consulting

შპს გროუ კონსალტინგი

თბილისი, საქართველო

ო. ლორთქიფანიძის 2ბ

ელ-ფოსტა info@growc.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს ენ ჯი თი გრუპ მმართველობითი ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს ენ ჯი თი გრუპ 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს ენ ჯი თი გრუპ მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს ენ ჯი თი გრუპ. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობითი ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობითი ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობითი ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

გროუ კონსალტინგი

ირმა ხაჩიძე

მმართველი პარტნიორი

2021 წელი, თბილისი, საქართველო



Grow Consulting

შპს გროუ კონსალტინგი

თბილისი, საქართველო

ო. ლორთქიფანიძის 2ბ

ელ-ფოსტა info@growc.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს ენ ჯი თი გრუპ მმართველობითი ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს ენ ჯი თი გრუპ 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს ენ ჯი თი გრუპ მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს ენ ჯი თი გრუპ. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობითი ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობითი ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.


მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობითი ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

გროუ კონსალტინგი


ირმა ხაჩიძე
მმართველი პარტნიორი
2021 წელი, თბილისი, საქართველო



ჩვენ შესახებ

კომპანია

შპს ენ ჯი თი გრუპ დაფუძნებულია რეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ 2011 წლის 16 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ვიდეო სამეთვალყურეო სისტემების რეალიზაცია და მონტაჟი, ასევე სხვადასხვა ელექტროსაქონელის რეალიზაცია.

უშუალო მფლობელები 2020 წლის მდგომარეობით არიან ფიზიკური პირები:

მამია მოცრაძე	54001014452	33.33%
დავით ხოსიაშვილი	01020004893	33.34%
დავით სამხარაძე	01011030530	33.33%.

ხელმძღვანელობა / წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

დირექტორი	დავით ხოსიაშვილი	01020004893
დირექტორი	მამია მოცრაძე	54001014452
პროკურისტი	გელა შონია	51001001016

საკონტაქტო ინფორმაცია:

ვებ გვერდი : <https://ngt.ge/>

ტელეფონი : +995 322 30 60 10

საქმიანობის მიმოხილვა

ზოგადი ინფორმაცია

შპს “ენ ჯი თი გრუპი” ძირითად საქმიანობას წარმოადგენს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების მიწოდება ქართულ ბაზარზე. გრუპი 2011 წლიდან ფუნქციონირებს და სხვადასხვა სექტორის წარმომადგენელ ორგანიზაციებს სთავაზობს ინდუსტრიულ ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს შესაბამის სექტორში.

გრუპის საქმიანობა საწყის ეტაპზე მოიცავდა რიგის მართვის სისტემების შემოტანას ქართულ ბაზარზე და ამ, იმ პერიოდისთვის ინოვაციური, პროდუქტის შეთავაზებას ბაზრისთვის. მიმდინარე ეტაპზე, არის ლიდერი რიგის მართვის სისტემების მიწოდების მიმართულებით. დაარსების დღიდან მოყოლებული, გრუპის მიერ ქართულ ბაზარზე დანერგილი პროდუქტები ემსახურება გრუპის კლიენტებისთვის რესურსების მაქსიმალურად ოპტიმალური გამოყენების ხარჯზე ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაციას და საბოლოო მომხმარებლებისთვის - მაქსიმალური კომფორტის შექმნას.

მიმდინარე ეტაპზე „ენ ჯი თი გრუპის“ ძირითადი მიზანია არსებული კლიენტებისთვის მაქსიმალურად სრულყოფილი სერვისის შეთავაზება მის მიერ მიწოდებული სისტემებისთვის და გადაწყვეტილებებისთვის. ამ შედეგის მისაღწევად, გრუპი მუდმივად მუშაობს კვალიფიციური კადრების დაქირავებაზე.

ენ ჯი თი გრუპი

მრავალპროფილური IT კომპანია, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით კლიენტებს მომსახურებისა და ბიზნეს გადაწყვეტილებათა სრულყოფილ სპექტრს სთავაზობს.

საქართველოს ბაზარზე 2011 წლიდან ვმოღვაწეობთ და ამ ხნის განმავლობაში ძალიან დიდი გამოცდილება დაგვიგროვდა.

ჩვენ ვართ ლიდერი საერთაშორისო ბრენდის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში და ჩვენი სერვისით სარგებლობენ უმსხვილესი კომპანიები საცალო, საბანკო, სამთავრობო, საწარმოო, სამედიცინო და სხვა ინდუსტრიებში.

ენ ერ ჯი ჯორჯია

სპილენძისა და ალუმინის საკაბელო პროდუქციის მწარმოებელი კომპანიაა, რომელიც ბაზარზე შემოვიდა „NRG Georgia“-ს სახელით. 2015 წელს „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში კომპანიაში განხორციელდა რამდენიმე მილიონი დოლარის ინვესტიცია. ამ ფაქტმა ხელი შეუწყო საწარმოს მნიშვნელოვნად გაფართოებას (საერთო ფართი - 17 000 კვ.მ, საწარმოო ფართი - 7 000 კვ.მ, სასაწყობო ფართი - 1 700 კვ.მ). სრულად გადაიარაღდა საწარმო და შედეგად მივიღეთ გერმანული წარმოების ავტომატიზაციის სისტემით აღჭურვილი კაბელების დამზადების პროცესი, რაც გარანტირებულად უზრუნველყოფს წარმოებული პროდუქციის უმაღლეს ხარისხს. ამასთან ერთად, დაინერგა თანამედროვე ტექნოლოგიური უზრუნველყოფა, გაიზარდა წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტი და მოცულობა, დამყარდა მჭიდრო ბიზნეს-კონტაქტები ნედლეულის მომწოდებლებთან (რუსეთის ფედერაცია, უზბეკეთი), ჩამოყალიბდა ეფექტური და მოხილური სადისტრიბუციო ქსელი.

ბიზნეს მოდელი

„ენ ჯი თი გრუპის“ საქმიანობა მრავალი სხვადასხვა პროფილითა და მიმართულებით განისაზღვრება. გრუპის ორგანიზაციული სტრუქტურა შემდეგნაირია: ორგანიზაციის სათავეშია დირექტორი (კომპანიას ჰყავს ორი თანაბარუფლებიანი დირექტორი); მის დაქვემდებარებაშია ბიზნეს-მიმართულებების ხელმძღვანელები (მომხმარებელთა ნაკადის მართვის, ბიზნეს-ანალიტიკის, უსაფრთხოების, კიბერუსაფრთხოების და სამედიცინო სისტემების მიმართულებებით), ასევე ზოგადი მიმართულებების მენეჯერები (მარკეტინგი, ადამიანური რესურსები, ფინანსები).

„ენ ჯი თი გრუპში“ დასაქმებულ კადრებს შორის გენდერული ბალანსი იდეალურად დაცული არ არის, ამ ეტაპზე თანამშრომლების 20%-ს შეადგენენ ქალბატონები, თუმცა გრუპის ადამიანური რესურსების განყოფილება აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

გრუპის პროდუქტების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, „ენ ჯი თი გრუპს“ შეხება აქვს ქართულ ბაზარზე მოქმედ ყველა სექტორის (სახელმწიფო, საბანკო, სამედიცინო, საცალო და სხვა) წარმომადგენელ მსხვილ ორგანიზაციასთან. იგი წარმოადგენს 15-მდე მულტინაციონალურ კომპანიას დსთ-ს ქვეყნებში (უკრაინა, საქართველო, სომხეთი და ა.შ). ჩვენ ვირჩევთ თავიანთ სფეროში ყველაზე მსხვილ და წარმატებულ კომპანიებს და მათთან თანამშრომლობით შეძენილი გამოცდილებით ვქმნით უკეთეს ბიზნეს-გარემოს საქართველოში.

„ენ ჯი თი გრუპის“ თითოეული ბიზნეს-მიმართულებების საქმიანობის პროფილი სრულიად განსხვავებულია, მათი დეტალური აღწერა მოცემულია ქვემოთ:

მომხმარებელთა ნაკადის მართვა - მსოფლიოში ლიდერი კომპანიის, Qmatic-ის პრემიალური დისტრიბუტორის სტატუსით, ქართული ბაზრის უდიდესი ნაწილი აქვს ათვისებული და სრულყოფილ მომსახურებას უწევს ყველა კლიენტს, რომელსაც დაინტალირებული აქვს რიგის მართვის სისტემა.

უსაფრთხოების სისტემები - ევროპის და ამერიკის მასშტაბით რამდენიმე წამყვანი კომპანია ვიდეო-სამეთვალყურეო და უსაფრთხოების სისტემების მიმართულებით „ენ ჯი თი გრუპის“ პარტნიორია. ამ პარტნიორობის შედეგია საქართველოში განხორციელებული რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი, საავტომობილო გზებზე მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ბიზნეს-ანალიტიკა - კომპლექსური გადაწყვეტილებები დიდი მონაცემების ანალიზისა და დამუშავებისთვის „ენ ჯი თი გრუპის“ ხელთ არსებული Qlik-ის პლატფორმაა, რომელიც დიდი მასშტაბის მქონე ინფორმაციას მარტივად ამუშავებს და ვიზუალურად მარტივად აღქმად აქცევს.

კიბერ უსაფრთხოება - კიბერ თავდასხმების თავიდან ასარიდებლად და მათგან დასაცავად მეტად დახვეწილი ხერხებისა და მეთოდების გამოყენება გახდა საჭირო. „ენ ჯი თი გრუპი“ ამ მიმართულებით კომპანიებს სთავაზობს თანამედროვე და მოქნილ სისტემებს, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია კომპანიის წინაშე არსებული ნებისმიერი ამოცანის გადაწყვეტა. სისტემები კონფიგურირებადია და შესაბამისად მარტივია მათი მორგება იმ საფრთხეებზე, რომელთაც თქვენი ბიზნესი უპირისპირდება.

გრუპის ღირებულებები

გრუპის ძირითადი მიზანია მივაწოდოთ მომხმარებელს ხარისხიანი მომსახურება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად გრუპი ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს:

- **პასუხისმგებლობა** - მუდმივად ვგრძნობდეთ პასუხისმგებლობას როგორც მომხმარებლების, ასევე თანამშრომლებისა და საქმის მიმართ;
- **კეთილსინდისიერება** - კეთილსინდისიერად ვემსახურეთ თითოეულ მომხმარებელს და კომპანიას;
- **პროფესიონალიზმი** - უწყვეტად ვიზრუნოთ ჩვენს პროფესიულ განვითარებაზე და მომხმარებლებს გავუწიოთ კვალიფიციური მომსახურება;
- **გუნდური სულისკვეთება** - ერთიანი ძალებით, ერთმანეთის მხარდაჭერით შეგვეძლოს საერთო მიზნის მიღწევა.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

ადამიანური რესურსი გრუპის ერთ-ერთი მთავარი კაპიტალია. შესაბამისად, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ფოკუსირებულია შემდეგ ძირითად მიმართულებებზე:

შესაბამისი კადრის მოძიება და აყვანა

კადრის შერჩევისას ყურადღება ექცევა როგორც კონკრეტული სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს, ასევე კომპანიის ღირებულებებს, რომლებსაც უნდა იზიარებდეს გრუპის უკლებლივ ყველა თანამშრომელი. ეს ღირებულებებია:

- პასუხისმგებლობა
- კეთილსინდისიერება
- პროფესიონალიზმი
- გუნდური სულისკვეთება
- მოქნილობა

თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება უწყვეტად ზრუნავს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე. ჯგუფში შემუშავებულია თანამშრომელთა კარიერული ზრდის სისტემა, რაც მათ აძლევს საშუალებას განვითარდნენ არა მხოლოდ პროფესიულად, არამედ პოზიციურად. აღნიშნული სისტემა ხელს უწყობს ასევე თანამშრომლების კომპანიისადმი ლოიალობას და ამცირებს გადინების მაჩვენებელს.

თანამშრომელთა მოტივაციის სისტემები

გრუპის მენეჯმენტი უწყვეტად ზრუნავს თანამშრომლებისათვის ჯანსაღი, სამართლიანი და სასიამოვნო სამუშაო გარემოს შექმნაზე, რაც თავის მხრივ მოქმედებს მათ მოტივაციის ამაღლებაზე.

რისკების მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გრუპის მომგებიანი ფუნქციონერებისათვის და გრუპის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე თავისივე საქმიანობის ფარგლებში.

გარე ფაქტორების ზემოქმედება გრუპის ოპერირებაზე

ძირითად ფაქტორებს, რომლებსაც შეუძლიათ იქონიონ გავლენა გრუპის საქმიანობაზე დადებითად ან უარყოფითად, წარმოადგენს:

- ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში
- გაცვლითი კურსის ცვლილება
- საბანკო რეგულაციები
- კონკურენცია

მოკლე მიმოხილვა

გრუპი აგრძელებს ფუნქციონირებას არსებული წარმატებული ბიზნეს მოდელით, მოთხოვნადი ხდება ქვეყანაში, შესაბამისად მას აქვს სამომავლოდ ზრდის და გაფართოების პოტენციალი.

კომპანიის სამომავლო გეგმები

გრუპს გააჩნია ამბიციური გეგმები ბიზნესის ექსპანსიის კუთხით რომელიც გამოიხატება შემდეგი მიმართულებებით:

1. ახალი საპროდუქტო ხაზების, ბრენდების, მწარმოებლების დამატება პორტუგელში, რომელიც მიმართული იქნება არსებულ კლიენტებზე დამატებითი რეალიზაციების გენერაციისთვის. ეს მიმართულება პრიორიტეტულია არსებული კლიენტების ბაზის და მათთან ჩამოყალიბებული ურთიერთსასარგებლო ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებისთვის.
2. ექსპანსია დსთ-ს ქვეყნებში, მათ შორის აზერბაიჯანსა და უკრაინაში. აღსანიშნავია რომ მწარმოებლებთან ჩამოყალიბებული ურთიერთობები და მაღალი შედეგები ქმნის კარგ შესაძლებლობებს, რომ მოხდეს კომპანიის არსებული შეთავაზებების და კომპეტენციების ექსპორტი ქვეყნის გარეთ.
3. გრუპი ასევე აქტიურად განიხილავს ახალი ბიზნეს მიმართულებების დაარსების პერსპექტივებს, რომელიც კიდევ უფრო დივერსიფიცირებულს გახდის მის საქმიანობას და შეამცირებს ქვეყნის სხვადასხვა სექტორთან დაკავშირებული რისკების მიმართ მოწყვლადობის ხარისხს.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

გრუპის მნიშვნელოვანი რისკები და გაურკვევლობები მოიცავს: პოლიტიკური და ეკონომიკური რყევების რისკს ქვეყანაში და სავალუტო რისკს.

2020 წელს COVID 19 გავრცელების შესაჩერებლად მთავრობის მიერ გატარებულ ზომებს მოყვა ეკონომიკური ვითარების მკვეთრი გაუარესება, თუმცა ჩვენ მოვახერხეთ შესაბამისი ზომების მიღება და ეფექტის შემსუბუქება. 2020 წლის შედეგებზე ამ მოვლენებს არსებითი ზემოქმედება არ მოუხდენია. კომპანია რეგულარულად აკვირდება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს და მარკეტინგული ღონისძიებების მეშვეობით ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ეკონომიკური და პოლიტიკური ტურბულენტობის გავლენა კომპანიაზე.

დავით ხოსაშვილი

დირექტორი

- ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში
- გაცვლითი კურსის ცვლილება
- საბანკო რეგულაციები
- კონკურენცია

მოკლე მიმოხილვა

გრუპი აგრძელებს ფუნქციონირებას არსებული წარმატებული ბიზნეს მოდელით, მოთხოვნადი ხდება ქვეყანაში, შესაბამისად მას აქვს სამომავლოდ ზრდის და გაფართოების პოტენციალი.

კომპანიის სამომავლო გეგმები

გრუპს გააჩნია ამბიციური გეგმები ბიზნესის ექსპანსიის კუთხით რომელიც გამოიხატება შემდეგი მიმართულებებით:

1. ახალი საპროდუქტო ხაზების, ბრენდების, მწარმოებლების დამატება პორტუგელში, რომელიც მიმართული იქნება არსებულ კლიენტებზე დამატებითი რეალიზაციების გენერაციისთვის. ეს მიმართულება პრიორიტეტულია არსებული კლიენტების ბაზის და მათთან ჩამოყალიბებული ურთიერთსასარგებლო ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებისთვის.
2. ექსპანსია დსთ-ს ქვეყნებში, მათ შორის აზერბაიჯანსა და უკრაინაში. აღსანიშნავია რომ მწარმოებლებთან ჩამოყალიბებული ურთიერთობები და მაღალი შედეგები ქმნის კარგ შესაძლებლობებს, რომ მოხდეს კომპანიის არსებული შეთავაზებების და კომპეტენციების ექსპორტი ქვეყნის გარეთ.
3. გრუპი ასევე აქტიურად განიხილავს ახალი ბიზნეს მიმართულებების დაარსების პერსპექტივებს, რომელიც კიდევ უფრო დივერსიფიცირებულს გახდის მის საქმიანობას და შეამცირებს ქვეყნის სხვადასხვა სექტორთან დაკავშირებული რისკების მიმართ მოწყვლადობის ხარისხს.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

გრუპის მნიშვნელოვანი რისკები და გაურკვევლობები მოიცავს: პოლიტიკური და ეკონომიკური რყევების რისკს ქვეყანაში და სავალუტო რისკს.

2020 წელს COVID 19 გავრცელების შესაჩერებლად მთავრობის მიერ გატარებულ ზომებს მოყვა ეკონომიკური ვითარების მკვეთრი გაუარესება, თუმცა ჩვენ მოვახერხეთ შესაბამისი ზომების მიღება და ეფექტის შემსუბუქება. 2020 წლის შედეგებზე ამ მოვლენებს არსებითი ზემოქმედება არ მოუხდენია. კომპანია რეგულარულად აკვირდება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს და მარკეტინგული ღონისძიებების მეშვეობით ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ეკონომიკური და პოლიტიკური ტურბულენტობის გავლენა კომპანიაზე.

დავით ხოისაშვილი

დირექტორი